



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1678

13/09/2018

ქალაქი ბათუმი

1678-05-4-201809131259



ჯუმბერ ვარდმანიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან ერთი დღის მიცემისა და მერის პირველ მოადგილეზე ზვიად ხალვაშზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 56-ე მუხლის პირველი პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. მე, ჯუმბერ ვარდმანიძე – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი, 2018 წლის 14 სექტემბერს ვიმყოფები მიმდინარე წლის ანაზღაურებად შვებულებაში.
2. ჩემს ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შესრულება დაევალოს მერის პირველ მოადგილეს - ზვიად ხალვაშს.
3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა